საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე ამერიკელ კოლეგას შეხვდა

ქართველი მოსამართლეები აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებული ვიზიტის ფარგლებში ვაშინგტონს ეწვივნენ.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი მოსამართლეებთან და იუსტიციის უმაღლესი სკოლის ხელმძღვანელებთან ერთად, ამერიკის უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარეს და ამერიკელ მოსამართლეებს შეხვდება.

ამერიკელი კოლეგებისგან ქართველი მოსამართლეები განაჩენის მომზადებასთან დაკავშირებულ სამართლებრივ საკითხებზე მიიღებენ ინფორმაციას.

საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმის ფარგლებში, დიდი ყურადღება ექცევა კვალიფიციური მოსამართლეების მომზადებას. სასამართლო გადაწყვეტილების წერის ტექნიკა კი მოსამართლის კვალიფიციურობის ერთ-ერთი განმსაზღვრელი ფაქტორია. ამერიკული პრაქტიკის გაცნობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვანი გამოცდილებაა ქართველი მოსამართლეებისთვის.

სასამართლომ შვილი დედას დაუბრუნა

თბილისის სააპელაციო სასამართომ უკრაინის მოქალაქეს, დედას, რომელსაც ყოფილმა ქმარმა შვილი წაართვა, 8 წლის ბავშვი დაუბრუნა. საქმის მასალებით მიხედვით, ქართველ მამასა და უკრაინელ დედას შორის სადავო მათი საერთო შვილი - 8 წლის ბავშვი იყო.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ცნობით, 8 წლის ბიჭი უკრაინის მოქალაქეა. მამამ შვილი 1 წლის წინ საქართველოში იმ პირობით წამოიყვანა, რომ ბავშვს დედასთან რამდენიმე თვეში დააბრუნებდა, თუმცა მან პირობა დაარღვია, ვაჟიშვილი საქართველოში ბაბუის და ბიძის სახლში დატოვა, თავად კი რუსეთში გაემგზავრა.

დედის მოთხოვნის მიუხედავად, მამა შვილის დაბრუნებაზე უარს აცხადებდა. არაერთი უშედეგო მცდელობის შემდეგ ლუკას დედამ საკუთარი უფლებების სასამართლო წესით დაცვა გადაწყვიტა.

თბილისის საქალაქო სამართლომ დედის მოთხოვნა ბავშვის მისთვის დაბრუნების თაობაზე არ დააკმაყოფილა. უკრაინის მოქალაქემ გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გააუქმა თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და ბავშვის დედის სააპელაციო საჩივარი დააკმაყოფილა. სასამართლომ 8 წლის ბიჭის საქართველოში ყოფნა "ბავშვთა საერთაშორისო გატაცების სამოქალაქო ასპექტების შესახებ" კონვენციის საფუძველზე არამართლზომიერ დაკავებად შეაფასა და შვილი დედას დაუბრუნა.

უკრაინელი მოსამართლეები საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოში

საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს უკრაინის დელეგაცია ეწვია. დელეგაციის შემადგენლობაში იმყოფებოდნენ კიევის სოლომენსკის რაონული სასამართლოს თავმჯდომარე და მოსამართლეები. შეხვედრა დელეგაციის სურვილით ჩატარდა.

დელეგაციას საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრები კახა კობერიძე და რამაზ ჟღენტი შეხვდნენ. შეხვედრის მიზანი კიევის სოლომენსკის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარის და მოსამართლეებისთვის საქართველოში მიმდინარე სასამართლო რეფორმების გაცნობა იყო. ისაუბრეს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს უფლებამოსილებაზე, საქართველოში სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის მთავარ მიმართულებებსა და რეფორმის ფარგლებში განხორციელებულ ღონისძიებებზე. უცხოელმა კოლეგებმა დადებითად შეაფასეს საქართველოში გატარებული სასამართლო რეფორმა, დეტალურად დაინტერესდნენ რეფორმის ცალკეული საკითხებით, და აღნიშნეს, რომ საქართველოს პრაქტიკა მათთვის მნიშვნელოვანია. შეხვედრისას დელეგაციის წევრებმა ქართველი კოლეგებისგან მათთვის საინტერესო ყველა კითხვაზე ამომწურავი პასუხი მიიღეს.

იუსტიციის უმაღლესი სკოლა - სასამართლო რეფორმის წარმატებული პროექტი

თბილისში სასამართლო რეფორმის ფარგლებში კიდევ ერთი საერთაშორისო კონფერენცია ჩატარდა. კონფერენცია იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსებიდან 5 წლისთავს მიეძღვნა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დანიშნულებისა და საქმიანობის შესახებ უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარე კონსტანტინე კუბლაშვილი გვესაუბრება:

- ბატონო კოტე, რატომ გახდა აუცილებელი იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსება? საუნივერსიტეტო განათლება ვერ იძლევა სათანადო ცოდნას?

- საუნივერსიტეტო კურსი და თუნდაც, ის ხუთწლიანი სავალდებულო გამოცდილება, რომელიც მოეთხოვება მოსამართლეობის კანდიდატს, ვერ იძლეოდა სათანადო ცოდნას. იუსტიციის უმაღლესი სკოლის დაარსებამდე, ჩვე წელიწადში სამჯერ მაინც ვატარებდით შესაბამის კონკურსებს და დავრწმუნდით, რომ არ არსებობდა ის რესურსი, რაც გვჭირდებოდა, ვგულისხმობ, მოსამართლეობის კანდიდატებს. 2009 წლის ივნისიდან მოქმედებს მოსამართლეთა შერჩევისა და დანიშვნის ახალი წესი და ამ წესის თანახმად, მოსამართლეებად ინიშნებიან მხოლოდ იუსტიციის უმაღლესი სკოლის კურსდამთავრებული კანდიდატები. 2009 წლის ივნისამდე მოსამართლეობის კანდიდატები, დანიშვნამდე გადიოდნენ მხოლოდ ერთკვირიან ტრენინგს. ეს, რა თქმა უნდა, არ იყო საკმარისი. მოსამართლეს ისეთი საპასუხისმგებლო საკითხის გადაჭრა უწევს, რომ ის უნდა იყოს ძალიან დეტალურად მომზადებული ყველა საკითხში. სწორედ ამიტომ ჩვენ შევქმენით იუსტიციის უმაღლესი სკოლა. სკოლის შექმნა ასევე გახლდათ ევროპის საბჭოს ერთ-ერთი რეკომენდაციაც.

2009 წლის მარტამდე სასამართლო სისტემაში ძველი წესით დანიშნულია 128 მოსამართლე, ხოლო ახალი წესით - 26 მოსამართლე.

- როდის დაარსდა იუსტიციის უმაღლესი სკოლა?

იუსტიციის უმაღლესი სკოლა შეიქმნა 2006 წელს. წელს სკოლის დაარსებიდან 5 წელი შესრულდა. იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის ძირითადი მიზანია მოსამართლედ გასამწესებელი პირის - იუსტიციის მსმენელის მომზადება, ასევე სკოლის ფუქნცია გახლავთ უკვე მოქმედი მოსამართლეების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება.

სკოლა ასევე ახორციელებს მოსამართლის თანაშემწეებისა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა გადამზადებასა და კვალიფიკაციის ამაღლებას.

სკოლაში მსმენელების მიღება ხორციელდება წელიწადში ორჯერ, გაზაფხულსა და შემოდგომაზე. სკოლაში ჩარიცხვის მსურველებისთვის იუსტიციის უმაღლესი საბჭო ატარებს კონკურსს.

მოქმედ მოსამართლეთა გადამზადების პროგრამის ფარგლებში სკოლა ახორციელებს ტრენინგებს, სემინარებს, სამუშაო შეხვედრებს და სასწავლო ვიზიტებს. გადამზადების პროგრამების ძირითადი მიზანია მოსამართლეთა კვალიფიკაციის ამაღლება და სასამართლო პრაქტიკის დახვეწა. მოსამართლეობის კანდიდატების სწავლება მიმდინარეობს 10 თვის მანძილზე და იგი მოიცავს, როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ სწავლებას. სკოლის მსმენელები სწავლების ბოლო რამდენიმე თვე სტაჟირებას გადიან სასამართლოებში და უშუალოდ იღებენ მონაწილეობას მოსამართლის საქმიანობასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში. ისინი უშუალოდ არიან მიმაგრებულები კონკრეტულ მოსამართლესთან და შემდეგ მოსამართლე ახდენს მათ შეფასებას. ზოგადად კი, იუსტიციის უმაღლესი სკოლის მსმენელების შეფასება ხდება მათ მიერ სწავლების პერიოდში დაგროვებული ქულების მიხედვით.

რაც შეეხება მოსამართლის თანაშემწეთა და სასამართლოს სხვა თანამშრომელთა გადამზადების პროგრამას, იგი მოიცავს ტრენინგებსა და სემინარებს, როგორც სამართლებრივ საკითხებზე, ასევე სასამართლოს გამართული ფუნქციონირებისათვის აუცილებელ საკითხებზე, კერძოდ, მოქალაქეებთან ურთიერთობა, სასამართლოში საქმეთა ნაკადის მართვა, მენეჯმენტი.

ცენტრალური ოფისის გარდა სკოლას უკვე აქვს ორი თანამედროვე დონეზე კეთილმოწყობილი ფილიალი, ბათუმსა და წყალტუბოში.

- როგორი მეთოდი უტარდებათ სწავლება მომავალ მოსამართლეებს?

- სკოლაში მსმენელები გადიან როგორც თეორიულ, ასევე, პრაქტიკულ მომზადებას. სპეციალური იურიდიული სპეციალობების გარდა, სკოლაში სწავლების დროს დიდი მნიშვნელობა ექცევა ისეთ საგნებს, რომელიც ხელს უწყობს მოსამართლის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას. ეს არის კომუნიკაციური უნარ-ჩვევების ჩამოყალიბება, დარბაზის მართვის კურსი, ფსიქოლოგიური მომზადების კურსი.

- რას მოიცავს თეორიული კურსი. ნიშნავს თუ არა ეს იგივე თეორიული მასალის სწავლებას, რასაც სტუდენტები იურიდიულ ფაკულტეტებზე გადიან?

- სკოლაში ჩარიცხული მსმენელი ჩამოყალიბებული იურისტია. მას უკვე უნდა ჰქონდეს გარკვეული გამოცდილება, მუშაობის სტაჟი. აღსანიშნავია, რომ სკოლაში სწავლების პერიოდი მსმენელს სამუშაო სტაჟში ჩაეთვლება.

რაც შეეხება სწავლებას, თეორიული კურსის გავლის დროს მსმენელებს სამართლებრივი საკითხები აღარ ეკითხებათ ისეთი ფორმით, როგორი ფორმითაც ისინი ამ კურსს უნივერსიტეტში გადიოდნენ. სკოლაში სწავლების დროს გამოიყენება როგორც საექციო კურსი, ასევე, პრაქტიკული მეცადინეობები და დისკუსიები. თეორიული კურსის წაკითხვის დროს ყურადღება ექცევა, მაგალითად, კონკრეტულ მუხლთან დაკავშირებით არსებულ სასამართლო გადაწყვეტილებებს, ლექტორები მსმენელების ყურადღებას ამახვილებენ პროფესიულ პრაქტიკაზე ამა თუ იმ საკითხთან მიმართებაში.

რაც შეეხება დისკუსიებს, ეს ნაწილიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს მსმენელების პროფესიონალ მოსამართლედ ჩამოყალიბებაში. დისკუსიების დროს უკვე მსმენელთა მიერ ხდება კონკრეტული საკითხების განხილვა, აზრების მოსმენა და შეფასება. ამგვარი დისკუსიების დროს უკეთ ვლინდება მსმენელის მომზადების დონე და უნარ-ჩვევები.

- სასწავლო პროგრამაში მსმენელებისთვის მოსამართლეობის უნარ-ჩვევების გამომუშავებაც არის გათვალისწინებული?

- იუსტიციის უმაღლეს სკოლაში ჩარიცხული მსმენელებისთვის სპეციალური პროგრამებია შემუშავებული, რომლებიც მათ უნარ-ჩვევების გამომუშავებაში ეხმარებათ.

სწავლების პროცესი მოიცავს იმიტირებულ სასამართლო სხდომებს, სადაც მოსამართლეები და მხარეები თავად მსმენელები იქნებიან და გარკვეულწილად, ისინი ამ ეტაპზევე ითავისებენ მოსამართლის ამპლუას.

სწავლების პროცესში მომავალ მოსამართლეებს სწორედ ამ ტრენინგების საფუძველზე უყალიბდებათ მხარეებთან ურთიერთობის, დარბაზის მართვის უნარ-ჩვევები.

ამ კურსს პირობითად სასამართლო კომუნიკაცია და დარბაზის მართვა ეწოდება და იგი მოიცავს, როგორც ფსიქოლოგიურ სწავლებას, ასევე პრაქტიკულ მეცადინეობებსაც.

- იუსტიციის უმაღლესი სკოლის 5 წლისთავთან დაკავშირებით საერთაშორისო კონფერენციას ჩატარდა, სადაც სკოლის მუშაობაც შეფასდა.

- კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს სტუმრებმა ლიტვიდან, ესტონეთიდან, უკრაინიდან, გერმანიიდან, საფრანგეთიდან, უნგრეთიდან და პოლონეთიდან. ასევე, საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებმა.

კონფერენციაზე მომხსენებლებმა ისაუბრეს იუსტიციის უმაღლესი სკოლის საქმიანობის ძირითად მიმართულებებზე, შეაფასეს სკოლის საქმიანობის 5-წლიანი გამოცდილება.

ყველა გამომსვლელმა სკოლის საქმიანობას მაღალი შეფასება მისცა. ექსპერტთა უმეტესობის აზრით, იუსტიციის უმაღლესი სკოლა სასამართლო რეფორმის ერთ-ერთი წარმატებული პროექტია.

სასამართლოს გამამართლებელი განაჩენები

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ქურდობის მცდელობაში ბრალდებული სამი პირის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.ს

საქმის მასალების მიხედვით, ზესტაფონის რაიონის სოფელ აჯამეთში, მიწისქვეშ არსებული 7 770 ლარის ღირებულების წყლის მილების მართლსაწინააღმდეგოდ, ფარულად დაუფლების მცდელობაში გამოძიებამ ბრალი ლევან ნიკოლაძეს, როლანდ ბახტიძესა და ისიდორე ჟორჟოლიანს დასდო. დანაშაული სასჯელის სახით 4-დან 7 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ბრალდებულებმა წარდგენილი ბრალი უარყვეს. სასამართლომ კი დაადგინა, რომ მათი დამნაშავედ ცნობისთვის გამოძიების დროს გამოკვლეული ბრალდების დამადასტურებელი მტკიცებულებები საკმარისი არ იყო.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ლევან ნიკოლაძე, როლანდ ბახტიძე და ისიდორე ჟორჟოლიანი უდანაშაულო ცნო და მათ მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ რომელმაც საქმის არსებითი განხილვის შედეგად კიდევ ერთი გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა. ბრალდებულ მერაბ კობახიძეს გამოძიება ნაკლებად მძიმე კატეგორიის დანაშაულის - თვითნებობის ჩადენაში ედავებოდა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამგვარი დანაშაულისათვის ერთ წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს. სასამართლოში საქმის არსებითად განხილვის ეტაპზე ბრალდებულმა მერაბ კობახიძემ წარდგენილ ბრალდებაში თავი დამნაშავედ არ ცნო და სასამართლოსგან გამართლება ითხოვა.

ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ ბრალდების მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მერაბ კობაიძის დამნაშავედ ცნობისათვის საკმარისად არ მიიჩნია და ბრალდებული უდანაშაულოდ ცნო და საბოლოოდ, განსასჯელის მიმართ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა.

გამოძიების მასალებით, მერაბ კობახიძე 2010 წლის 23 დეკემბერს თვითნებურად დაეუფლა ზვიად ხაჩიძის კუთვნილ 300 ლარად ღირებულ პარკეტის საჭრელ დაზგას, რომელიც გადაიტანა და შეინახა ზესტაფონის რაიონის სოფელ არგვეთაში, თავის ნათესავ ზურაბ კობახიძის საცხოვრებელ სახლში.

სასამართლოს ქრონიკა
21 ნოემბერი, 2011 წელი

“სამოქალაქო სასამართლოს” პირველი ვერდიქტი

“დღევანდელი პროცესი ისტორიაში შევა,” *- თბილისის საქალაქო სასამართლოში, რომელიც 9 ნოემბერს ჟურნალისტების განსაკუთრებული ინტერესის ობიექტი გახდა და ხალხმრავლობითაც გამოირჩეოდა, ეს ფრაზა ძალზე ხშირად გაისმოდა. თბილისის საქალაქო სასამართლოში ორი კვირის წინ თანამედროვე ქართული მართლმსაჯულების ისტორიაში პირველად, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ საქმის მოსმენა დაიწყო, რომელიც რვა დღეში ჩატარებულ 5 პროცესზე დასრულდა. ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ათი ხმით ორის წინააღმდეგ ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილს გამამტყუნებელი ვერდიქტი გამოუტანა.*



12 ძირითადი და სამი სათადარიგო ნაფიცი მსაჯული 9 ნოემბერს საზოგადოების წინაშე პირველად წარსდგა. მათი ვინაობა, მათივე უსაფრთხოების მიზნით გასაიდუმლოებული იყო - სხდომაზე დამსწრე პირებს და პროცესის მონაწილე მხარეებს მსაჯულთა ვინაობის გამხელა აეკრძალათ.

პროცესს თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლე ნინო სანდოძე უძღვებოდა.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ყაჩაღობასა და დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის თანამონაწილეობაში ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილის საქმე მოისმინა.

“თავიდან “დავაზვრატებას” ვაპირებდით, მერე სიტუაცია შეიცვალა და ჩვენი გეგმის მიხედვით, ოჯახის წევრები ერთ ოთახში უნდა შეგვეყვანა და იქ დაგვეხოცა... ყველას თავის როლი გვქონდა: მე პირველი სართულის კონტროლი მევალებოდა, რეზო დემეტრაშვილი ქვევით მანქანაში უნდა ყოფილიყო და რაიმე გაუგებრობის შემთხვევაში, პოლიციელის საბუთით ემოქმედა, კობა გვრიტიშვილს სროლა ევალებოდა... სახლში რომ შევვარდით, მე პირველ სართულზე დავრჩი, ბიჭი იყო ავად და იმას ვყარაულობდი. ბიჭებმა ოჯახის სხვა წევრები ზევით აიყვანეს... ისმოდა ფულის, ძვირფასეულობის მოთხოვნები, ხმაური... 2 წუთში გაისმა ავტომატიდან 3-4 გასროლის ხმა... ბიჭებმა ეგრევე ჩამოირბინეს და გვრიტიშვილმა თქვა, წავედით, დავხოცეთო... მანქანაში ჩავსხედით და წამოვედით...” - ჩვენების ეს ფრაგმენტი, 1994 წელს თბილისში მომხდარი გახმაურებული დანაშაულის თანამონაწილეობისთვის გასამართლებულ გიორგი ოთარაშვილს ეკუთვნის.

გიორგი ოთარაშვილი, რომელიც პროცესზე მთავარი მოწმის სტატუსით წარსდგა, დიდი რაოდენობით ნარკოტიკების შენახვა-შეძენისთვის დააკავეს და როგორც თავად განაცხადა, მას 18 წლითა და 9 თვით პატიმრობა ელოდა, ამიტომაც, სასჯელის შემსუბუქების მიზნით გამოძიებასთან თანამშრომლობა გადაწყვიტა - 17 წლის წინ მომხდარი დანაშაულების დეტალები გაიხსენა და მათ შესახებ აღიარებითი ჩვენებაც მისცა. გიორგი ოთარაშვილთან, რომელიც ნარკოტიკების შეძენა-შენახვაში, განზრახ მკვლელობასა და ყაჩაღობაში იყო ბრალდებული საბოლოოდ, საპროცესო შეთანხმება გაფორმდა და 6 წლით პატიმრობა მიუსაჯეს.

“ნარკოტიკს ვიკეთებდით, მაგრამ ფული აღარ გვქონდა და რევაზიშვილმა მითხრა, რომ მის მეზობლად ცხოვრობდა “ცეხავიკი” მინასიანი - 100-150 ათას დოლარს გაქაჩავს, მოსკოვში ბინა უნდა იყიდოსო... ეს ამბავი დემეტრაშვილს ვუთხარი, რამდენიმე დღეში საერთო მეგობრებს შევხვდით, მოვუყევით რევაზიშვილის მონათხრობი და გატაცების გეგმა დავგეგმეთ,” - განუცხადა ნაფიც მსაჯულებს ბრალდების მხარის მეორე მოწმემ ლევან კიკაბიძემ, რომელიც სამართალდამცველებმა 2006 წელს დააკავეს ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვის და მას 15 წლით პატიმრობა აქვს მისჯილი.

ადვოკატის შეკითხვაზე, რატომ მისცა ამდენი წლის შემდეგ აღიარებითი ჩვენება და დაპირდნენ თუ არა რაიმე შეღავათს, კიკაბიძემ ასეთი პასუხი გასცა: **“ექვსი წელია სასჯელს ვიხდი, კიდევ 9 წელი წინ მაქვს, აღიარების გადაწყვეტილება თავად მივიღე და თანაც, დამპირდნენ შეღავათებს გაგიწევთო.”**

პროცესზე დაკითხული მესამე მოწმე მინასიანების მეზობელი, ვაზგენ მინასიანის და მისი ცოლის კლასელი ალექსანდრე რევაზიშვილი იყო. ისიც ნარკოტიკების შეძენა-შენახვისთვისაა გასამართლებული და 9-წლიანი პატიმრობა აქვს მისჯილი.

მოწმეთა მიერ მიცემული ჩვენებებიდან, გაირკვა, რომ რევაზიშვილის და კიკაბიძის მიერ მიწოდებული ინფორმაციის საფუძველზე ვახტანგ გვრიტიშვილმა, მისმა ძმამ კობა გვრიტიშვილმა, გიორგი ოთარაშვილმა, გელა ქავთარაძემ, რევაზ დემეტრაშვილმა და მალხაზ მოდებაძემ, რომელიც გარდაცვლილია, 1994 წლის 19 თებერვალს გაიტაცეს ნეშან მინასიანის 19 წლის ვაჟი ვაზგენ მინასიანი. მიცემული ჩვენებების მიხედვით, გამტაცებლების გეგმის მიხედვით, ქუჩაში მიმავალი ვაზგენ მინასიანი გააჩერა რევაზ დემეტრაშვილმა, რომელიც იმ დროს პოლიციაში მუშაობდა, პოლიციელის საბუთი აჩვენა და მანქანაში ჩაისვა ვითომდა, ნარკოლოგიურ ექსპერტიზაზე წაყვანის მიზნით. გამტაცებლებმა ვაზგენ მინასიანი სოფელ დიღომში მდებარე სახლში მიიყვანეს, სადაც ერთი კვირა ჰყავდათ დატყვევებული, ხოლო ოჯახისგან გამოსასყიდს - 150 ათას დოლარს ითხოვდნენ.

“თანხის ნაწილის 10 ათასი დოლარის გადახდის შემდეგ ვაზგენა გავათავისუფლეთ. ორი კვირის მერე ბიჭებმა გაიგეს, რომ ვაზგენას მამას უთქვამს, ვიცი, ეგენი ვინ არიანო... თურმე, იმუქრებოდა, მაგათ არ შევარჩენო... საფრთხე გვექმნებოდა და გადავწყვიტეთ მოკვლა... კვალის დასაფარად ყაჩაღობის იმიტაციაც დავგეგმეთ და სახლიდან ნივთები წამოვიღეთ, რათა ჩვენზე ეჭვი არ მიეტანათ,” - განაცხადა გიორგი ოთარაშვილმა.

“როგორც დემეტრაშვილმა მომიყვა, გვრიტიშვილს უთქვამს, სანამ დრო გვაქვს ამოვხოცოთ მინასიანების ოჯახიო... როგორც დემეტრაშვილმა მითხრა, ის გარეთ იყო - ქუჩაში, სხვები სახლში შევიდნენ და მან მალე ავტომატის სროლის ხმა გაიგო... კობა გვრიტიშვილმა დახვრიტა ოჯახის წერვებიო, - ასე მითხრა დემეტრაშვილმა,” - განაცხადა ლევან კიკაბიძემ.

ნაფიც მსაჯულებს ჩვენება მისცეს ვაზგენ მინასიანის დებმა გულისა და გაიანე მინასიანებმა და ვაზგენ მისასნიანის ცოლმა - ქრისტინე ავეტისიანმა.

“1994 წლის 19 თებერვალს დახლოებით 22 საათზე, ოჯახის წევრები პირველ სართულზე ვიყავით, როცა ზედა სართულიდან ხმაური გავიგონეთ - ჩემი დედამთილის ყვირილი და ფეხის ხმა. დავინახე ჩემი მული როგორ შეაგდო ოთახში ავტომატიანმა მაღალმა მამაკაცმა. მან ყველა ზევით აიყვანა... მე ჩემი 18 დღის შვილი ავიყვანე და გავიქეცი, ვიფიქრე, პოლიციას შევატყობინებ-მეთქი, მაგრამ მაღალმა, შავპალტოიანმა, ნიღბიანმა მამაკაცმა ლულა მომიშვირა და მეც ზევით ამიყვანა. ოთახში, სავარძელში ისხდნენ ჩემი მამათილი - მეშან მინასიანი, დედამთილი - ფლორა მინასიანი. უფროსი მული, რომელსაც შვილი ეჭირა ხელში მუხლებზე იდგა, იქ იყო მეორე მულიც თავის ქმარშვილით. მანამდე რა ხდებოდა არ ვიცი.. როცა მიმიყვანეს, ჩემმა მამამთილმა უთხრა, წაიღეთ რაც გინდათ, ოღონდაც არ დაგვხოცოთო... მალევე ერთმა მაღალმა ნიღბიანმა საათს დახედა და თქვა, “დროა”... და გაისმა სროლის ხმა... 18 დღის შვილი ლარი ჩავიხუტე და როცა ავიხედე, საშინელი სურათი ვნახე... ყველაფერი სისხლით იყო მოსვრილი... ჩემმა ქმარმა - ვაზგენმა ოპერაციის მერე ორი დღე იცოცხლა, დედამთილი ადგილზევე გარდაიცვალა, მამამთილი გზაში დაიღუპა... გაიანე მძიმედ დაიჭრა და სასწაულებრივად გადარჩა.

მე ამ დღეს 17 წელია ველი. მინდოდა თვალებში ჩამეხედა იმ ადამიანებისთვის, რომლებმაც ცხოვრება დამინგრიეს, შვილს მამა წაართვეს, მე - საყვარელი ადამიანი,” - განაცხადა ვაზგენ მინასიანის ცოლმა ქრისტინე ავეტისიანმა.

მკვლელობის ღამე გაიხსენეს გაიანე და გულისა ვაზგენიანებმა. გაიანე ვაზგენიანის განცხადებით, ის 17 წლის წინანდელ იარას დღემდე ატარებს და მას არაფერი მოუშუშებს.

“ავტომატებით შეიარაღებული ნიღბიანი მამაკაცები შემოცვივდნენ, ყველანი მეორე სართულზე აგვიყვანეს... მამამ სთხოვა, რომ წაეღოთ ყველაფერი, ოღონდაც არ ესროლათ... მაგრამ, პირველად მამაჩემს ესროლეს, მერე ვაზგენს, შემდეგ აღარ შემიხედავს, მაგრამ ვიგრძენი, რომ ტყვია მეც მომხვდა... დედაჩემს ტყვია გულში მოარტყეს და ის ადგილზევე გარდაიცვალა, მამაჩემი და ვაზგენი ერთი მანქანით წაიყვანეს, მამა გზაში დაიღუპა, ვაზგენი კი საავადმყოფოში. არ ვიცი, რას გვერჩოდნენ, რატომ მოგვექცნენ ასე სასტიკად. მე სპეციალურად ჩამოვედი ერევნიდან, რათა მენახა ადამიანები, რომლებმაც ცხოვრება დაგვინგრიეს. არაფრის მეშინია და მჯერა, რომ ნაფიცი მსაჯულები სამართლიან ვერდიქტს გამოიტანენ,” - განაცხადა გაიანე მინასიანმა, რომლის მსგავსი ჩვენებაც მისცა მისმა დამ გულისა მინასიანმა. მოწმეთა ჩვენებით, თავდამსხმელებს ნიღბები ეკეთათ, ამიტომაც, მათი ამოცნობა არ შეუძლიათ.

ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ მოუსმინა ბრალდებულ რევაზ დემეტრაშვილსაც. რევაზ დემეტრაშვილის ჩვენების მიხედვით, მინასიანების ფინანსური მდგომარეობის თაობაზე ინფორმაცია ჯგუფის წევრებს ლევან კიკაბიძემ მიაწოდა.

“ლევან კიკაბიძე, რომელიც ჩემი დეიდაშვილის კურსელი იყო, ერთ დღეს მოვიდა ჩემთან, ნაცემი იყო და მითხრა, გელა ქავთარაძესთან და კობა გვრიტიშვილთან ჩხუბი მომივიდა, მცემეს და მანქანა წამართვესო. მას შინდისფერი “09” ჰყავდა. კიკაბიძემ მაშინ მომიყვა ვაზგენ მინასიანის გატაცების ამბავი. მითხრა, რომ “ნაკოლშიკი” ის იყო, მაგრამ მინასიანებმა იმდენი ვერ გადაიხადეს, რაც გვრიტიშვილებს ვუთხარი და ამიტომაც ცრუ ინფორმაციის მიწოდებისთვის მანქანა წამართვესო. კიკაბიძემ მთხოვა, მანქანის დაბრუნებაში დავხმარებოდი, რაზეც უარი ვუთხარი,” - განუცხადა სასამართლოს რევაზ დემეტრაშვილმა. ბრალდებულის ჩვენებით, მან კიკაბიძეს საქმეში მისი გავლენიანი მამის ჩარევა ურჩია.

“ორი დღის შემდეგ, ჩემთან სახლში ორი მამაკაცი მოვიდა, ერთი გამეცნო ლევანის მამად და გვრიტიშვილთან გაყოლა მთხოვა. მიუხედავად იმისა, რომ გვრიტიშვილთან ნაჩხუბარი ვიყავი, მაინც გავყევი. ნუკრი გვრიტიშვილმა და ლევან კიკაბიძის მამამ ცალკე ისაუბრეს, რაზე არ ვიცი. ამ შეხვედრის შემდეგ კიკაბიძეს მანქანა დაუბრუნეს,” - განაცხადა რევაზ დემეტრაშვილმა, რომელმაც ისიც განაცხადა, რომ ლევან კიკაბიძემ მას უთხრა, ვაზგენ მინასიანის გათავისუფლების სანაცვლოდ ოჯახმა 6 მილიონი რუსული რუბლი გადაიხადაო.

მთავარ მოწმეთა ჩვენებებით, ვაზგენ მინასიანი რევაზ დემეტრაშვილის თეთრი ფერის ვაზ-2106 მარკის მანქანით გაიტაცეს, ხოლო ყაჩაღობისა და მკვლელობის დროს, დემეტრაშვილი მინასიანების სახლის წინ იდგა, რათა გაუთვალისწინებელი შემთხვევის დროს პოლიციელის საბუთით თავიდან აეცილებინა საფრთხე.

“თეთრი ფერის მანქანა არასდროს მყოლია. 1993 წლის გაზაფხულზე ნუკრი გვრიტიშვილისგან ვიყიდე შინდისფერი ვაზ-2106. დანაშაულიც სწორედ ამ მანქანით მოხდა. ჩემთან ნუკრი მოვიდა და მთხოვა, მანქანა მეთხოვებინა, რადგანაც, ცოლ-შვილი უნდა წაეყვანა გორში. რა თქმა უნდა, მანქანა ვათხოვე. მოგვიანებით გავიგე, რომ ჩემი მანქანით გაიტაცეს ვაზგენ მინასიანი. ამის გამო გვრიტიშვილთან სერიოზული კონფლიქტი მომივიდა,” - განუცხადა ნაფიც მსაჯულებს ბრალდებულმა, რომლის ჩვენებითაც, მომხდარი ყაჩაღობისა და მკვლელობის შესახებაც მან მოგვიანებით შეიტყო.

“ჩემთან სახლში იყო მალხაზ მოდებაძე, როცა ლევან კიკაბიძე მოვიდა და გვითხრა, გვარდიელებმა ვაზგენ მინასიანი მოკლესო. მალხაზმა უთხრა, ბიჭო, ჩვენ არ დაგვბრალდესო. ამ მკვლელობის თაობაზე მე არაფერი ვიცი და ვერც გვრიტიშვილებს დავადებ ხელს, რადგან არ ვიცი, ჩაიდინეს თუ არა მათ ეს დანაშაული. სხვებისგან განსხვავებით, მათ ვერაფერს დავაბრალებ,” - ასეთი ჩვენება მისცა სასამართლოს რევაზ დემეტრაშვილმა, რომელმაც ისიც განაცხადა, რომ დაკავებისას სამართალდამცველები მისგან აღიარებითი ჩვენებას ითხოვდნენ, რის სანაცვლოდაც, საპროცესო შეთანხმების საფუძველზე, 6-წლით პატიმრობის შეფარდებას პირდებოდნენ.

“მათ შემოთავაზებაზე უარი განვაცხადე, რადგან უდანაშაულო ვარ და ისეთ მძიმე დანაშაულებს, რომელიც არ ჩამიდენია, ვერ დავიბრალებ. ლევან კიკაბიძე, ალექსანდრე რევაზიშვილი და გიორგი ოთარაშვილი, რომლებსაც აღიარების საფუძველზე 19-წლიანი პატიმრობის ნაცვლად, 6 წელი მიუსაჯეს, საკუთარი თავის გადარჩენას ეცადნენ. არც ერთთან არანაირი პირადი მტრობა არ მაქვს... მათი მესმის - საკუთარი ტყავის გადასარჩენად ეს გზა აირჩიეს და დათანხმდნენ გარიგებას,” - განუცხადა ნაფიც მსაჯულთა სასამართლოს რევაზ დემეტრაშვილმა, რომელიც ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ ყაჩაღობასა და მინასიანების ოჯახის სამი წევრის დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილ განზრახ მკვლელობის თანამონაწილეობაში დამნაშავედ ცნო.

ჩანართი მომზადებულია პროექტის "სასამართლო ხელისუფლების მხარდაჭერა" ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP).

გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნით მათ ავტორებს და შესაძლოა არ ემთხვეოდეს გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მოსაზრებებს.

UNDP Georgia